



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს  
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო  
დოკუმენტი მესამე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი  
გზების პროექტის განსახორციელებლად

თბილისი 2014

## 1. შესავალი

საქართველოს კარგად განვითარებული საგზაო ქსელი გააჩნია, მაგრამ შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების უმრავლესობა დაზიანებულია ფინანსური სახსრების უქონლობის და კლიმატური პირობების გამო. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დიდი ოდენობის თანხები მოხმარდება გზების რეაბილიტაციას, რადგან მათ მნიშვნელონავი როლი უკავიათ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში. მსოფლიო ბანკი რამდენიმე წლის განმავლობაში დახმარებას უწევს საქართველოს მთავრობას აღმოსავლეთ-დასავლეთ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის რეაბილიტაციაში ისევე როგორც შიდასახემწოფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციაში. ვინაიდან პირველი შიდასახემწოფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციის პროექტი წარმატებით დასრულდა, და SLP II დასრულების პირასაა, უნდა დაიწყოს ახალი SLP III. შიდასახემწოფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციის პროექტების განხორციელების განუწყვეტელი სერია დასაბუთებულია მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური ზეგავლენით, რაც მოიცავს სკოლებთან, სამედიცინო დაწესებულებებთან და მაღაზებთან მისასვლელი გზების გაუმჯობესებას; მცირე ბიზნესისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას; დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნას, და აშ. - ყოველივე ეს შეამცირებს შეჭირვებული მოსახლეობის მიგრაციას.

SLP III პროექტის შემუშავების მიზანია საპროექტო გზების მომხამრებლის ხარჯების შემცირება და შიდასახემწოფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების აქტივების მართვის მდგრადობის გაუმჯობესება.

პროექტი მოცავს შემდეგ კომპონენტებს:

კომპონენტი 1: შიდასახემწოფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია და გაუმჯობესება. ეს კომპონენტი დააფინანსებს (1) შიდასახემწოფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციას, და (2) სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობისა და დიზაინების მომზადების საკონსულტაციო მომსახურეობებს.

ქვე-კომპონენტი 1.1: შიდასახემწოფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია და გაუმჯობესება. ეს ქვე-კომპონენტი დააფინანსებს შიდასახემწოფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციას და გაუმჯობესებას, სულ 200 კმ გზა (53 კმ ადგილობრივი გზები და 147 კმ შედასახელმწიფოებრივი გზები). საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების აუდიტი გათვალისწინებული იქნება პროექტირების პროცესში

დასაწყისიდანვე და მოძრაობის უსაფრთხოების აუდიტის რეკომენდაციები განხორციელებული იქნება როგორც მთლიანი კონტრაქტის სარეაბილიტაციო სამუშაოების განუყოფელი ნაწილი.

ქვე-კომპონენტი 1.2: ზედამხედველობისა და პროექტირების საკონსულტაციო მომსახურეობები. დაახლოებით 90 კმ საგაზო მონაკვეთებისათვის პროექტი მომზადებულია ან მუშავდება SLRP II და კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტის (KRRIP) ფარგლებში. ეს ქვე-კომპონენტი დააფინანსებს დარჩენილი პროექტის სამუშაო პროგრამის დეტალურ პროექტებს (დაახლოებით 110 კმ) მესამე შიდასახემწოდოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში და სხვა ახალი გზების პროექტებს, და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობას.

კომპონენტი 2: ადგილობრივი და შიდასახლემწიფოებრივი გზების მენეჯმენტის პოტენციალის ზრდა და გაუმჯობესება. ეს კომპონენტი მიზნად ისახავს (1) რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და მუნიციპალიტეტების პოტენციალის გაზრდას ადგილობრივი გზების მდგრადი მართვის კუთხით და (2) საავტომობილო გზების დეპარტამენტის პოტენციალის გაძლიერებას შიდასახელმწიფოებრივი გზების მენეჯმენტის კუთხით.

კომპონენტი 3: მოძრაობის უსაფრთხოების ტექნიკური დახმარება. ეს კომპონენტი გამოიყენებს უსაფრთხოების სისტემის მიდგომებს (ე.ო. ინჟინერია, განათლება, სააღსლულებლო და საგანგებო სამსახურები) და დააფინანსებს პროგრამას "უსაფრთხო სოფელი" იმერეთის რეგიონის სამ ადგილობრივ გზაზე, რომელთა რეაბილიტაცია უნდა მოხდეს აღნიშნული პროექტის ფარგლებში.

პროექტის ფარგლებში მოქმედებს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების ორი პოლიტიკა: OP/BP 4.01 ბუნებრივი გარემოს შეფასება და OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება. მსოფლიო ბანკის OP/BP E4.01 დოკუმენტის თანახმად, პროექტი გარემოსდაცვითი კუთხით კლასიფიცირდება როგორც "ბ" კატეგორიის მქონე. ვინაიდან პროექტით გათვალისწინებული დონისძიებების განსახორციელებლად ქართული ეროვნული კანონმდებლობით პროექტისათვის ბუნებრივი გარემოს სათანადო შემოწმება მოთხოვნილი არ არის, მსოფლიო ბანკის პოლიტიკა მოითხოვს, რომ შეფასდეს და მენეჯმენტი გაეწიოს SLRP-III თან დაკავშირებულ გარემოსდაცვით და სოციალურ რიკსებს. ამ მოთხოვნების დასაქმაყოფილებლად, მომზადდა წინამდებარე ბუნებრივი და სოციალური გარემოს მენეჯმენტის ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პროექტის შესაბამის ბუნებრივი გარემოს მენეჯმენტის ძირითად პრინციპებს და ადგილ-სპეციფიკური გარემოსდაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო

სახელმძღვანელო მითითებებს როგორც ინდივიდუალური ინვესტირებისთვის, ისე საჯარო პრეზენტაციისა და დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის შესაძლო გავლენის შესახებ კონსულტაციების მიზნით.

მსოფლიო ბანკის OP/BP 4.12-ის თანახმად მომზადდა განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია სამართლიანი კომპენსაციის ძირითადი პრინციპები პროექტის განხორციელების შედეგად ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მიერ საკუთრების ან ნებისმიერი აქტივების გამოყენების უფლების არანებაყოფლობითი დათმობისთვის. აღნიშნული ინდივიდუალური ინვესტიციებისთვის შემუშავდება ადგილ-სპეციფიკური განსახლების სამოქმედო გეგმები, რომელთა მოსამზადებლად გამოყენებული იქნება მსოფლიო ბანკის OP/BP 4.12. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შემთხვევები შესაძლოა იშვიათი იყოს, მათი სათანადო რეგულირებისთვის უნდა არსებობდეს დაგეგმილი დონისძიებები, საჭიროების მიხედვით.

## 2. მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპები ბუნებრივი და სოციალური გარემოს მენეჯმენტის შესახებ

### 2.1 ძირითადი პრინციპები

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიო ბანკის ბუნებრივი გარემოსა და სოციალურ სახელმძღვანელო პრინციპებს. სახელმძღვანელო პრინციპების მიზანია გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების განხილვის პროცესის დანერგვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მსოფლიო ბანკის სესხის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მიზანშეწონილობა, იმ სახით შემუშავება, რომ დააკმაყოფილოს როგორც შესაბამისი ნორმატიული მოთხოვნები, ასევე ბანკის ინსტრუქციები და არ გამოიწვიოს ბუნებრივ გარემოსთან, ჯანმრთელობასთან ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები ან სოციალური ზეგავლენის და რისკების გაზრდა დაინტერესებულ მხარეთა მიმართ.

მსოფლიო ბანკისთვის პრიორიტეტულია პროექტის იმგვარად შემუშავება, რომ პროგრამის ყველა ეტაპზე ასახავდეს მასპინძელი ქვეყნის საზოგადოების ჩართულობის შედეგებს, სადაც სახელმწიფო ინტერესები კერძო ბიზნეს და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებთან იქნება შერწყმული. ამ მიზნით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, რომელიც არის შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების III პროექტის განმახორციელებელი უწყება, უნდა უზრუნველყოს რომ ინდივიდუალური

ინვესტიციებისთვის შემუშავებული ადგილ-სპეციფიკური გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმები და განსახლების სამოქმედო გეგმები მოიცავდეს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებთან კონსულტაციებსა და საჯარო განხილვებს.

მსოფლიო ბანკი ადიარებს მასპინძელი ქვეყნის მიერ კომპაქტის ფლობის პრინციპებს, მათ შორის მასპინძელი ქვეყნის პასუხისმგებლობას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ნეგატიური გავლენის შემარბილებელ ზომებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტები უნდა აკმაყოფილებდეს მასპინძელ ქვეყანაში მოქმედ კანონებს, წესებსა და სტანდარტებს, ისევე როგორც იმ მოთხოვნებს, რომელთა თანახმად მასპინძელ ქვეყანას გააჩნია ვალდებულებები საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული კანონმდებლობის თანახმად შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების III პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად არ მოითხოვება გარემოსდაცვითი შეფასება, ექსპერტიზა და ნებართვები, ნებისმიერი სხვა ტიპის წესები, ნორმები ან სტანდარტები, რომელიც შესაძლოა ეხებოდეს პროექტის განხორციელების სხვადასხვა ასპექტებს, დაცული და დაკმაყოფილებული უნდა იქნას.

## 2.2 მცირემაშტაბიანი საგზაო სამშენებლო ან სარეაბილიტაციო პროექტების გარემოსდაცვითი მენეჯმენტი

მიუხედავად იმისა, რომ შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების III პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო ინდივიდუალური საგზაო მონაკვეთების სავარაუდო ჩამონათვალი შესაძლოა პროექტის მიმდინარეობისას განახლდეს და იმ ფაქტის მიუხედავად, რომ დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია არ არის დასრულებული სამუშაო პროგრამაში ამჟამად მითითებული ყველა მონაკვეთისთვის, წინასწარ ცნობილია მომავალი სამუშაოების ხასიათი, მაშტაბი და პოტენციური გავლენა. მცირე საგზაო სარეაბილიტაციო პროექტების ფარგლებში მოსალოდნებლი ნეგატიური გავლენა ტიპიურია და თითქმის მსგავსია დაგეგმილი ყველა ინდივიდუალური ინვესტიციისათვის. ამდენად, მცირემაშტაბიანი საგზაო სამშენებლო ან სარეაბილიტაციო პროექტების გარემოსდაცვითი მენეჯმენტის კითხვარი, რომელიც თან ერთვის აღნიშნულ ჩარჩო-დოკუმენტს, გამოყენებული იქნება SLP-III -ს ფარგლებში დაფინანსებული სამუშაოების უმეტესობისათვის როგორც ადგილ-სპეციფიკური გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სამუშაოების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტი. პროექტში შემავალი თითოეული საგზაო მონაკვეთისთვის შესავსები კითხვარები უნდა მოიცავდეს: საპროექტო უბნის მოკლე აღწერას, დაგეგმილი სამუშაოების ტექნიკურ მონახაზზს, ამგვარი

სამუშაოების შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან ასოცირებულ მოსალოდნელ რისკებს, მათი შემცირების ღონისძიებებს და ამ ღონისძიებების გატარების მონიტორინგის გეგმას. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის შევსებული კითხვარები ექვემდებარება მსოფლიო ბანკის მიერ განხილვასა და დამტკიცებას. გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენის შეფასების ჩატარება სავალდებულოა მინიმუმ ერთ მაღალი რისკის მქონე საგზაო მონაკვეთზე, რომელიც შედის SLRP-III-ის სამუშაო პროგრამაში, ეს გახდავთ ბაქურციხე-გურჯაანის შემოვლითი გზა. გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენის შეფასების ანგარიშის მონახაზი თან ერთვის ამ ჩარჩო-დოკუმენტს.

## 2.3 საჯარო შეხვედრები

ბუნებრივი და სოციალური გარემოზე ზემოქმედების ჩარჩო დოკუმენტის სამუშაო ვერსია ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის (სგდ) ვებ გვერდზე და პროექტით დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი იქნა კომენტარები. დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს ადგილ-სპეციფიკური გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმებისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების საზოგადოებისთვის გაცნობა მედია საშუალებებით; მიაწოდოს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადგილობრივ მოსახლეობას ეს დოკუმენტები მათვის მოსახერხებელი ფორმით. ასევე დაინტერესებულ მხარეებთან უნდა მოაწყოს საკონსულტაციო შეხვედრები და მათი მოსაზრებები გაითვალისწინოს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმებისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების საბოლოო ვერსიებში. უნდა მომზადდეს და შეინახოს ამ საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები.

## 2.4 მონიტორინგი

გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგი იქნება სგდ-ს მიერ შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების III პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის განუყოფელი ნაწილი. სგდ პასუხისმგებელი იქნება ყველა მოქმედი სამუშაო უბნიდან ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან შესაბამისობის ამსახველი დასურათებული ყოველთვიური ანგარიშების წარმოდგენაზე. ადგილ-სპეციფიკურ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა მომზადდეს ბუნებრივი გარემოსა და სოციალური მენეჯმენტის განხორციელების ანგარიშები, რაც უნდა დაერთოს მსოფლიო ბანკისათვის გასაგზავნ პროექტის ზოგადი მიმდინარეობის

ანგარიშებს. ნებისმიერი სახის კატასტროფები, გაუთვალისწინებელი შემთხვევები, მოულოდნელად აღმოცენებული გარემოსდაცვითი საკითხები ან სპეციფიკური სასიათის პრობლემები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მსოფლიო ბანკს, რეგულარული ანგარიშგების გრაფიკის განურჩევლად.

### 3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სააგტომობილო გზების დეპარტამენტის (სგდ) მიერ გამოყენებული გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პროცედურები

სგდ პასუხისმგებელია ჯეროვნად გამოიყენოს გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების ღონისძიებები. სგდ-ს მიერ გარმოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების ღონისძიებების დაცვა უნდა ითვალისწინებდეს, რომ (i) ყველა სარეაბილიტაციო საგზაო მონაკვეთისათვის არსებობდეს დამაკმაყოფილებელი ადგილ სპეციფიური გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმები და ბუნებრივი გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშები და საჭიროების შემთხვევაში განსახლების სამოქმედეო გეგმები (გსგ); (ii) არსებობდეს საჭირო ნებართვები ნაგვის/ნარჩენების მოსათავსებლად, ქვის სამტებლოსათვის და კარიერებისათვის, ასფალტის/ბეტონის ქარხნის მუშაობისათვის, და აშ საჭიროებიდან გამომდინარე; (iii) ადგილ სპეციფიური გმბ-ებში და გსგ-ებში გათვალისწინებული შემამსუბუქებელი ღონისძიებების სათანადო გამოყენება სამუშაოების მიმდინარეობისას და მათი დასრულებისთანავე; და (iv) შრომის უსაფრთხოების კანონის დაცვა ისევე როგორც მოძრაობის უსაფრთხოებისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოების დაცვა სამშენებლო მოედანზე და მის შემოგარენში.

ამ სტანდარტების დასაკმაყოფილებლად სგდ-მ უნდა შეიმუშავოს ადგილ სპეციფიური ბუნებრივი და სოციალური გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები, საჭიროებისამებრ, და გმბ-ები ყველა იმ საგზაო მონაკვეთებისათვის, რომლებიც შეირჩა სარეაბილიტაციო, უზრუნველყოს გმბ-ების ჩართვა სარეაბილიტაციო სამუშაოების სატენდერო დოკუმენტებში და მათი გათვალისწინება სამუშაოების კონტრაქტებში, შეინარჩუნოს სამუშაოების გარემოსდაცვითი მონიტორინგის ეფექტური მექანიზმი. სგდ შეძლებს ამ ფუნქციების განხორციელებას განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველოს მეშვეობით, რომელიც შედგება შესაბამისი განათლებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით დაკომპლექსული თორმეტი თანამშრომლისგან, ასევე საერთაშორისო გამოცდილების მქონე კონსულტანტების დახმარებით, რომლებიც დაქირავებული არიან ტექნიკური ზედამხედველობისთვის. ეს ღონისძიებები გამოიწვია სგდ-ს გადაუდებელი ზოგადი ინსტიტუციონალური საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ასევე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას სგდ-ს მიერ SLP III-ისა და სხვა მიმდინარე სამუშაოების შეუფერხებელი

განხორციელება ბანკის მხარდაჭერით. სგდ-ზ უნდა განახორციელოს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშების გარემოსდაცვითი შესაბამისობისა და შესრულების მონიტორინგი და შეფასება. პოლიტიკის განხორციელების, შესრულებისა და ეფექტურობის მონიტორინგი იქნება დაქირავებული ინჟინრების/კონსულტანტების პასუხისმგებლობა.

#### IV. მოსალოდნელი რისკები და მათი შემსუბუქება

##### 4.1. გარემოზე პოტენციური ზემოქმედება

SLRP III მხარს უჭერს არსებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს არსებული განთვისების ზოლში, გზის სავალი ნაწილის შესამჩნევი გაფართოვების ან მიმართულების შეცვლის გარეშე. ამ გზების უმეტესობა გადის მნიშვნელოვნად ტრანსფორმირებულ ლანდშაფტზე, მნიშვნელოვანი ჰაბიტატებისაგან და ბიოლოგიურად მრავალფეროვანი ადგილებისაგან მოშორებით.

სარეაბილიტაციოდ მოაზრებული რამოდენიმე საგზაო მონაკვეთი სხვა მონაკვეთებთან შედარებით გადის რთულ მთაგორიან რელიეფზე და სენსიტიურ ადგილებში. ამ აგილებში სამუშაოების ორგანიზაცია საჭიროებს ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირების/მართვის გონივრულ გადაწყვეტას, სამშენებლო მაქანებისა და მექანიზმების სწორ მუშაობას, მუშების მიერ პერსონალური უსაფრთხოების წესების მკაცრ დაცვას, და ანტი-ეროზიული ტექნიკის გამოყენებას.

ტურისტული დანიშნულების ადგილებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას სამუშაოების დასრულებისას დასუფთავებისა და ლანდშაფტის პარმონიზაციის თვალსაზრისით, ისე რომ, ობიექტის ესთეტიური მახასიათებლები არ იქნეს შელახული.

გურჯაანი-ბაკურციხის შემოვლით გზაზე სამუშაოები მოიცავს საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნაგვის საბოლოო გატანას და გათავისუფლებას, რომელიც დაყრილია გზის გასწვრივ ათწელეულების მანძილზე, ვინაიდან ამ გზის მშენებლობა მიტოვებული იქნა მიმართულების გაწმენდისა და გზის საფუძვლის მოწყობის შემდეგ. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება უნდა განხორციელდეს, რათა გამოვლენილი იქნას ნაგვის ზუსტი მოცულობა და შემადგენლობა, ასევე სხვადასხვა ტიპის ნარჩენების დაცალკევების აუცილებლობა და მათი მართვა შესაბამისი უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენებით.

მოსალოდნელია, რომ გზის სხვა დანარჩენ მონაკვეთებზე პოტენციური გარემოსდაცვითი პროცესები იქნება უმნიშვნელო და მცირე მასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დამახასიათებელი, რომელიც ძირითადად მოიცავს: სამუშაო ბანაკებში და მექანიზმების განთავსების ადგილას სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის მართვას, ბუნებრივი სამშენებლო მასალების (გრუნტი/ხრეში/ქვიშა) წყაროს, ასფალტის/ბეტონის პატარა ქარხნების მუშაობას, სამშენებლო მანქანა-მექანიზმების რემონტი/მუშაობას. ყოველივე ამის შემამსუბუქებელი ღონისძიებები აღწერილი უნდა იყოს დეტალურად ადგილ სპეციფიურ გმგ-ებში, რომელიც უნდა მომზადდეს, განთავსდეს და დამტკიცდეს ინდივიდუალური ინვესტიციისათვის.

## 4.2. პოტენციური სოციალური ზეგავლენა

SLRP III პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი არ არის დიდი ოდენობით მიწების ათვისება და მოსახლეობის ფიზიკური გადაადგილება; პროექტი არ აფინანსებს ახალი გზის მშენებლობას და რეაბილიტაციას. მიუხედავად ამისა, შესაძლოა საჭირო გახდეს მცირედი მიწების ათვისება არსებული განთვისების ზოლის გასწვრივ არსებული განთვისების ზოლის გეომეტრიული სტანდარტების გასაუმჯობესებლად, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნა დრენაჟისათვის სათანადო სივრცე, გაიზარდება გზის დამატებითი უსაფრთხოების საშუალებები როგორიცაა ტროტუარები, გზაჯვარედინები, თვალამრიდები, და დამცავი ბარიერები. დამატებით, მიწების გამოსყიდვა შესაძლოა აუცილებელი შეიქმნეს გაუთვალისწინებელი შემთხვევების პირობებში, როგორიცაა მეწყერი, სადაც ძველი მიმართულების რეკონსტრუქცია ფაქტიურად შეუძლებელი იქნება.

ყველა ამ მიზეზის და გამო, და უფრო მეტად კი უსაფრთხოების გამო, მომზადდა განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სპეციფიური განსახლების სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას საჭიროებისამებრ.

პროექტი არ გამოიწვევს მოსახლეობის ან ოჯახების ფიზიკურ გადაადგილებას. პროექტის შედეგად არცერთი პირი არ დაკარგავს საარსებო წყაროს ან სამსახურს. უფრო მეტიც, ახალგაზრდებისათვის, ადგილობრივი სურსათის მომწოდებლებისთვის და საკეთო მოვაჭრეთათვის გაჩნდება სამუშაო შესაძლებლობები. სარეაბილიტაციო გზებზე სადემარკაციო სამუშაოები უკვე ჩატარებულია და თავისუფალია რაიმე სახის ხელოვნური ნაგებობებისგან/შენობებისგან და მიწის ნაკვეთებისგან, რომელიც გამოიყენება სოფლისმეურნეობის დანიშნულებისათვის. სამშენებლო სამუშაოებს არანაირი ნებატიური ზეგავლენა არ ექნება საზოგადოებაში მოწყვლად ჯგუფზე

(როგორებიც არიან ხანდაზმულები, შრომისუუნარონი, ქალები, ბავშვები და უმცირესობები). პროექტს არ გააჩნია ნიშანდობლივი ნეგატიური გავლენა ან ზემოქმედება რომელიმე მოწყვლად ჯგუფზე, დროებითი ნეგატიური გავლენა როგორცაა ჰაერის დაბინძურება (მტკერი, ემისია), ხმაური და ვიბრაცია, რაც გამოწვეულია მზიმეწონიანი მანქანების ინტენსიური მუშაობით, ასევე საირიგაციო არხების და საძოვრებზე მისასვლელი გზების, და აშ დაზიანება იქნება მინიმუმამდე დაყვანილი. დასახლებული ადგილების სიახლოეს სამუშაო საათები იქნება შეზღუდული -7 საათიდან 21 საათამდე 500 მ დაშორებით მომიჯნავე დასახლებული ადგილიდან. სამუშაოები არ განხორციელდება შაბათ-კვირას და საყოველთაო დასვენების დღეებში. საირიგაციო არხებისა და საძოვრებთან მისასვლელი გზების ადგილმდებარეობა შეფასდება წინასწარ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

თუ პროექტის ფარგლებში საჭიროა მიწის გამოსყიდვა, მაშინ ის უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის OP4.12 გათვალისწინებით. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირისათვის კომპენსირება მოხდება ადგილმონაცვლეობის კოეფიციენტით და მიიღებენ შესაბამის ფულად დახმარებას ზემოქმედების სიმკაცრისა და მოწყვადობის სტატუსის გათვალისწინებით. მიწების ათვისება SLRP III პროექტის ფარგლებში ეფუძნება შემდეგ პრონციპებს:

- გზის მშენებლობა ისე უნდა განხორციელდეს, რომ ხალხის ფიზიკური გადაადგილება მინიმუმადე იქნას დაყვანილი, და შერჩეულმა მიმართულებამ მინიმალურად უნდა გამოიწვიოს კერძო საკუთრებაში ან საზოგადო საკუთრებაში არსებული მოსავლიანი მიწის ათვისება;
- პროექტირების ისეთი სტანდარტების მიღება, რაც მინიმუმადე შეამცირებს მიმდებარე ტერიტორიებზე მიწათსარგებლობაზე შეზღუდვების დაწესებას.
- წინამდებარე განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტის განმარტებითი ცხრილის შესაბამისად კომპენსაციის განსაზღვრის სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების შემუშავება შემდეგი შემთხვევებისთვის: (i) მშენებლობის პროცესში მიწის/ქონების დროებითი დაკარგვა; (ii) მიწისა და ქონების მუდმივი შესყიდვა; (iii) კორიდორის მიმდებარე ტერიტორიებზე მიწათსარგებლობაზე შეზღუდვების დაწესება.
- მიწის ათვისება (ან მიწათსარგებლობის უფლების) მოლაპარაკებებით მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, უკიდერეს შემთხვევაში “საზოგადოებრივი საჭიროებისათვის კერძო საკუთრების არანებაყოფლობითი გასხვისების შესახებ” მთავრობის უფლების გამოყენებით;
- მშენებლობის დასრულებისთანავე მიწის აღდგენა წინანდელ მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებით, იმ შემთხვევაში თუ იყო მიწის სარგებლობის დროებითი შეჩერება, რათა მიწის

მესაკუთრების/მოსარგებლების/მოიჯარების საშუალება მიეცეთ  
სრულყოფილად განაახლონ საქმიანობა, რომელსაც ეწეოდნენ პროექტის  
დაწყებამდე.

- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ხალხისა და თემების მაქსიმალურად ინფორმირება პროექტისა და იმ პროცესის შესახებ, რაც მიწის განთვისებას და კომპენსაციებს ახლავს, ამ საკითხებთან დაკავშირებით მათ უფლებებში და პრეტენზიების დაკმაყოფილების საშუალებებში გარკვევა.
- პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებული (პზდ) ადამიანების საჩივრების სათანადოდ განხილვის უზრუნველყოფა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტში მოცემული პრინციპების შესაბამისად მოგვარება.
- პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებული (პზდ) ყველა პირი, საკუთრების სამართლებრივი სტატუსის განურჩევლად, მიიღებს სხვადასხვა სახის დახმარებას საკომპენსაციო უფლებამოსილების მატრიცაში ასახული პრინციპების გათვალისწინებით, მათთვის ცხოვრების საარსებო წყაროს შენარჩუნებასა და პროექტის განხორციელებამდე არსებული საცხოვრებელი პირობების აღდგენაში დახმარების გაწევის მიზნით. მიწების დაკარგვისათვის კომპენსაციები არ გაიცემა იმ პირებზე, რომლებიც არალეგალურად ფლობენ მიწებს, მაგრამ კომპენსაციას მიიღებენ საკუთარი ფულადი სახსრებით შექმნილი სხვა აქტივების დაკარგვის შემთხვევაში და ისეთი შემოსავლის დაკარგვისათვის, რომელიც მათთვის საარსებო წყაროს წარმოადგენდა. განსახორციელებელი ღონისძიებები დეტალურად განისაზღვრება აღწერისა და სოციალურ-ეკონომიკური კვლევის საფუძველზე, რომელიც ჩატარდება განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავების შემდეგ.
- პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებული (პზდ) პირებს უნდა ეცნობოთ პროექტის განხორციელების გრაფიკი და გაეწიოთ კონსულტაცია მიწის ათვისებაზე, ქონებისთვის მიყენებული ზარალისა და მისი დაკარგვის პრინციპებზე.
- აქტივებზე მიყენებული ზარალი, როგორიცაა ნათესების, ხეების, ღობეების და ჯიხურების დაკარგვა, ასევე შემოსავლის დაკარგვა, მოსავლის დაკარგვის ჩათვლით იქნება მინიმუმამდე დაყვანილი და სადაც გარდაუგალია კომპენსირებული იქნება, განურჩევლად მესაკუთრეობის სამართლებრივი სტატუსისა, გსგ-ში მოცემული საკომპენსაციო უფლებამოსილების მატრიცის შესაბამისად.

კონსულტაცია და მონაწილეობა არის მნიშვნელოვანი პროცესი, რომლის საშუალებითაც დაინტერესებული მხარეები ზეგავლენას ახდენენ და მონაწილეობას იღებენ განვითარების ინიციატივების, ასევე გადაწყვეტილებების

და რესუსრსების კონტროლში, რაც გავლენას ახდენს მათზე. ეს არის ორმხრივი პროცესი, სადაც აღმასრულებელი ორგანოები, პოლიტიკის შემქმნელები, ბენეფიციარები და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები განიხილავენ და ერთმანეთს უზიარებენ თავიან მოსაზრებებს პროექტირების პროცესში. კონსულტაციები და მონაწილეობა უმნიშვნელოვანესი პრინციპი იყო დეტალური პროექტის დაგეგმვისას და მომზადებისას. მსოფლიო ბანკის OP4.12 დიდ უპირატესობას ანიჭებს საჯარო შეხვედრებს და ხალხის ხმის/აზრის დაცვაში მონაწილეობას და უზრუნველყოფს, რომ ხალხის აზრი გათვალისწინებული იქნას დიზაინში და განხორციელდეს პროექტი სოციალური და გარემოსდაცვის მოთხოვნების დაცვით. საქართველოს კანონი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონსულტაციებსა და შეტყობინებებს, რათა უზრუნველყოლი იქნას ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მონაწილეობა ამ პროცესში. ამ კონსულტაციების ძირითადი მიზანია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირება, ერუდიორება, კოსნულტაციების გაწევა; მათ უფლება უნდა ჰქონდეთ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა გზების გაუმჯობესების პროცესში და სოცილაური და განსახლების გეგმის მომზადებაში; ასევე აუცილებელია შესაძლო ნეგატიური გავლენის შემსუბუქება და მინიმუმადე დაყვანა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისათვის სარგებელის მოტანა.

დანართი 1.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის კითხვარი მცირემაშტაბიანი საგზაო  
სამშენებლო ან სარეაბილიტაციო პროექტებისათვის

## გმგ-ს კითხვარის გამოყენების საერთო ძირითადი პრინციპები

დაბალ-რისკიანი სამშენებლო პროექტებისათვის, ეფუძნება და ცენტრალური აზის უსაფრთხოების გუნდმა შეიმუშავა ალტერნატიული გმგ-ს (გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმა) ფორმატი, რაც საშუალებას იძლევა, რომ მსოფლიო ბანკის ძირითად გარემოსდაცვის უსაფრთხოების მოთხოვნების უფრო რაციონალურებული მიღებოდა წინა პლანზე წამოწეულიყო პროექტებში, რომლებიც (ა) მოცულობით პატარაა ან დაგეგმილი სამუშაოების ხასიათიდან გამომდინარე გააჩნიათ გარემოზე პოტენციურად ნაკლები ზემოქმედება, (ბ) განთავსებულია გარემოს შეფასებისა და მენეჯმენტის სისტემის კარგად ოპერირებად ქვეყნებში. კითხვარის ტიპის ფორმატი შემუშავებული იქნა იმისათვის, რომ მოხდეს რეკომენდებული ნორმების აღიარება და დანერგვა, რაც უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

გმგ-ის კითხვარის ფორმატი ცდილობს მოიცვას პატარა, ლოკალური ზემოქმედების ან მარტივი, დაბალი რისკის მქონე სამშენებლო კონტრაქტების ძირითადი დამახასიათებელი შემამსუბუქებელი ღონისძიებები. აღნიშნული ფორმატი იძლევა გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის ძირითად ელემენტებს, რათა მოხდეს OP4.01-ით გათვალისწინებული B კატეგორიის პროექტებისათვის მსოფლიო ბანკის გარემოს შეფასების მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამ კითხვარის მიზანია, რომ მარტივი სამშენებლო კონტრაქტის კონტრაქტორებსა და ზედამხედველ ინჟინერებს შესთავაზოს პრაქტიკული, კონკრეტული და განხორციელებადი სახელმძღვანელო. ის შევსებული უნდა იქნას საბოლოო პროექტირების ეტაპზე და ცაკლე ან სახელმწიფო კანონის ფარგლებში მომზადებულ სხვა გრემოსდაცვით დაოკუმენტოან (მაგ: ბუნებრივი გარემოს შეფასების ანგარიში) ერთად უნდა წარმოადგენდეს სატენდერო დოკუმენტებისა და საბოლოოდ სამუშაოების კონტრაქტების განუყოფელ ნაწილს.

## **გმგ კითხვარს გააჩნია შემდეგი პარაგრაფები:**

**ნაწილი I** მოიცავს აღწერილობით ნაწილს, რომელიც ახასიათებს პროექტს, განსაზღვრავს ინსტიტუციონალურ და მარეგულირებელ ასპექტებს, აღწერს ტექნიკური პროექტის შინაარსს, ხაზს უსვამს პოტენციალის შექმნის პოტენციურ საჭიროებას და მოკლედ აღწერს საჯარო კონსულტაციების პროცესს. ეს პარაგრაფი დაახლოებით უნდა იყოს ორი გვერდი. საჭიროებისდა მიხედვით დამატებითი ინფორმაციისათვის შესაძლოა დაემატოს დანართები.

**ნაწილი II** მოიცავს პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების სკრინინგის კითხვარს, სადაც ღონისძიებები და პოტენციური გარემოსდაცვითი საკითხები შეიძლება შემოწმდეს მარტივი დიახ/არა პრინციპით. თუ რომელიმე ღონისძიება/საკითხი ინიცირებული იქნება “დიახ”-ის მონიშვნით, მაშინ მომდევნო გ ნაწილის ცხრილში უნდა მოხდეს შესაბამისი პარაგრაფის მითოება, რომელიც უნდა ასახავდეს ზუსტად ჩამოყალიბებულ გარემოსდაცვით და სოციალურ მენეჯმენტსა და შემამსუბუქებელ ღონისძიებებს.

**ნაწილი III** წარმოადგენს გარემოსდაცვით შემამსუბუქებელ გეგმას, რასაც მოხდეს ბ ნაწილში ინიცირებული ღონისძიებების სათანადო შესრულება. მას აქვს იგივე ფორმატი, რაც საჭიროა გმგ-ებისათვის, რომელიც მომზადდა B კატეგორიის პროექტებისათვის სტანდარტული უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნების გათვალისწინებით.

**ნაწილი IV** მოიცავს მონიტორინგის მარტივ გეგმას, რაც საშუალებას აძლევს როგორც კონტრაქტორს ასევე უფლებამოსილ ორგანოს და მსოფლიო ბანკის სპეციალისტებს მონიტორინგი გაუწიონ გარემოს მენეჯმენტის და დამცავი ღონისძიებების ჯეროვან შესრულებას და დროულად აღმოაჩინონ ხარგეზები და უზუსტობები.

ბ და გ ნაწილი გვთავაზობს კონკრეტულ და აუცილებლად განსახორციელებელ გარემოსდაცვით და სოციალურ ღონისძიებებს, რომელიც გასაგებია არა სპეციალისტებისთვისაც (როგორიცაა კონტრაქტორის მშენებლობის მენეჯერები) და ადგილია შესამოწმებლად და შესასრულებლად. გმგ-ები უნდა შევიდეს მოცულობათა უწყისებში და განსახორციელება უნდა განფასდეს პრეტენდენტების მიერ. დ ნაწილი ასევე განზრას ჩამოყალიბდა მარტივად, რაც საშუალებას იძლევა, რომ ძირითადი პარამეტრების მონიტორინგი განსახორციელდეს საშუალო არითმეტიკითა და არასპეციალისტი პერსონალის მიერ.

### **გარემოსდაცვითი ანგარიშები**

გარემოსდაცვითი ანგარიშების ფორმა მომზადდა გმგ-ს შემამსუბუქებელი ღონისძიებების მიხედვით. მისი ფორმატი ცდილობს მოიცვას პატარა, ლოკალური ზემოქმედების ან მარტივი, დაბალი რისკის მქონე სამშენებლო კონტრაქტების ძირითადი დამახასიათებელი შემამსუბუქებელი ღონისძიებები. აღნიშნული ფორმატი იძლევა გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის ძირითად ელემენტებს, რათა მოხდეს OP4.01-ით გათვალისწინებული B კატეგორიის

პროექტებისათვის მსოფლიო ბანკის გარემოს შეფასების მინიმალური მოთხოვნების დაგმაყოფილება. ამ ფორმის მიზანია, რომ მარტივი სამშნებლო კონტრაქტის კონტრაქტორებსა და ზედამხედველ ინჟინრებს შესთავაზოს პრაქტიკული, კონკრეტული და განხორციელებადი სახელმძღვანელო. ის შევსებული უნდა იქნას პროექტირების საბოლოო ეტაპზე და ან ცალკე ან სახელმწიფო კანონის ფარგლებში მომზადებულ სხვა გარემოსდაცვით დოკუმენტოან (მაგ: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები) ერთად უნდა წარმოადგენდეს სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილს და საბოლოო ჯამში კი სამუშაოების კონტრაქტების ნაწილს.

## **სარჩევი**

- ა) პროექტთან და ობიექტთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია
- ბ) უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია
- გ) შემამსუბუქებელი ღონისძიებები
- დ) მონიტორინგის გეგმა

## ნაწილი I: პროექტთან და ობიექტთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია

---

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები				
ქვეყანა				
პროექტის სახელწოდება				
პროექტის მაშტაბი და ღონისძიებები				
საორგანიზაციო საკითხები (სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია)	მსოფლიო ბანკი (პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელი)	პროექტის მენეჯმენტი	ადგილობრივი მონაწილე მხარე და/ან მიმღები	
განხორციელება (სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია)	გარემოსდაცვის ზედამხედველი	ადგილობრივი ზედამხედველი	ადგილობრივი ინსპექცია	კონტრაქტორი
ობიექტის აღწერა				
ობიექტის დასახელება				
